ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 325

ქალაქი ქუთაისი 3 ივლისი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის

დამტკიცების შესახებ

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, **ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი თანდართული რედაქციით.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი წინამდებარე ბრძანებას თან ერთვის)

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის 2024 წლის 3 ივლისის №325 ბრძანების
დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი

მუხლი 1. ზოგადი მიმოხილვა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, განსაკუთრებით კი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა. საკრებულო პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროცესში ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით, საუკეთესო პრაქტიკითა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით - GDPR („General Data Protection Regulation"). დოკუმენტში განმარტებულია ის პრინციპები, მიზნები, საფუძვლები, ფარგლები, რომლითაც საკრებულო ხელმძღვანელობს სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში.

მუხლი 2. დოკუმენტის მოქმედების ფარგლები

1. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება:

ა) საკრებულოს აპარატის ინფორმაციული აქტივების დამუშავების ყველა პროცესზე;

ბ) საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე;

გ) სტაჟიორებზე;

დ) ნებისმიერ პირზე, ვინც ახორციელებს საკრებულოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მონაცემთა დამუშავებას, ან საკრებულოს დავალებით ახდენენ მონაცემთა დამუშავებას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პერსონალური მონაცემი** (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული

კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით;

ბ) **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი** – მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

გ) **მონაცემთა სუბიექტი** – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

დ) **საჯარო ინფორმაცია** – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია;

ე) **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** – დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს;

ვ) **მონაცემთა დაბლოკვა** – მონაცემთა დამუშავების (გარდა შენახვისა) დროებით შეჩერება;

ზ) **ვიდეომონიტორინგი** – საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა);

თ) **ინციდენტი** – მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას;

ი) **დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების

მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

კ) **დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი** – ფიზიკური პირი,იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი.

მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის პრინციპები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში

1. საკრებულო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) კანონიერება - მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად. საკრებულო უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების თაობაზე სუბიექტების ინფორმირებასა და მოთხოვნისთანავე მონაცემებზე მათ ხელმისაწვდომობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში და წესით;

ბ) მიზნის განსაზღვრა - საკრებულო მონაცემთა შეგროვებას/მოპოვებას ახდენს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის;

გ) სიზუსტე - საკრებულოს მიერ დამუშავებული მონაცემები არის ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში განახლებადი. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

დ) მონაცემთა მინიმიზაცია - საკრებულო მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;

ე) ლეგიტიმურობა - საკრებულო დამუშავებულ მონაცემებს ინახავს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;

ვ) უსაფრთხოება - მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით საკრებულო მონაცემთა დამუშავებისას იღებს ისეთ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის უნებართვო ან უკანონო დამუშავებისაგან, შემთხვევით დაკარგვისაგან, განადგურებისაგან ან/და დაზიანებისაგან.

მუხლი 5. მონაცემთა დამუშავების მიზნები

1. საკრებულო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს შემდეგი კანონიერი მიზნებისათვის:

ა) მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენის მიზნით;

ბ) ორგანიზაციული საქმიანობის ფარგლებში;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცებისას;

დ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლის, მათი ანგარიშების მოსმენისა და შეფასებისას;

ე) მოქალაქეთა განცხადებების განსახილველად და მათთვის მომსახურების გასაწევად;

ვ) კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულების დადების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, თანამშრომელთა შეფასების მიზნებისათვის;

ზ) საკრებულოს და/ან სხვა პირების უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებისათვის;

თ) საკრებულოს სხვა ფუნქციების შესასრულებლად.

მუხლი 6. პოლიტიკის რეგულირების საგანი და სუბიექტები

1. პოლიტიკის რეგულირების საგანს, ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით, წარმოადგენს საკრებულოს აპარატში საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ყველა პროცედურა და დოკუმენტი:

ა) ყველა მონაცემი, მათ შორის თანამშრომლის, განმცხადებლის, მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის, ინფორმაციის მიმღების, დაინტერესებული მხარის ან სხვა პირის შესახებ ინფორმაცია;

ბ) საკრებულოს აპარატში შექმნილი თუ მიღებული ინფორმაციული აქტივი (მატერიალური და ელექტრონული სახით);

გ) ყველა ინფორმაციული სისტემა;

დ) ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა;

ე) ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალება, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, დაცვა, დაშვების უფლების მინიჭება, გადაცემა, მიღება, ასლის გადაღება, გადატანა, წაშლა, განადგურება ან სხვაგვარი დამუშავება;

ვ) ინფორმაციასთან, ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასთან, დოკუმენტებთან და ინფორმაციის ნებისმიერ მატარებლებთან მუშაობის წესის მარეგულირებელი დოკუმენტი;

ზ) საკრებულოს აპარატსა და მის მომხმარებლებს/მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტი.

2. პოლიტიკის რეგულირების სუბიექტებს, ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით, წარმოადგენენ საკრებულოს თანამშრომლები და მესამე პირები:

ა) რომლებიც ახორციელებენ საკრებულოს აპარატის კუთვნილი ან საკრებულოს აპარატის განკარგულებაში არსებული ინფორმაციის მართვას/დამუშავებას;

ბ) რომლებიც იყენებენ საკრებულოს აპარატის კუთვნილ ან განკარგულებაში მყოფ ინფორმაციულ სისტემებსა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას ან ახორციელებენ მის ადმინისტრირებას.

მუხლი 7. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

1. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;

გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

ე) კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;

ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად);

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების,

მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;

ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

2. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში;

გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა;

დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის, მომსახურების, სამედიცინო მოწყობილობების და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის მიზნებით საქართველოს კანონმდებლობის ან ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთან დადებული ხელშეკრულების (თუ ამ მონაცემებს ამუშავებს პირი, რომელსაც პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ეკისრება) შესაბამისად;

ე) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის

პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;

ვ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საჭიროა დანაშაულის თავიდან აცილების (მათ შორის, სათანადო ანალიტიკური კვლევის), დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის განთავსების უზრუნველყოფის, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო დაცვის განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების, სამოქალაქო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან/და მართლწესრიგის დაცვის (მათ შორის, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს ან სასამართლოს მიერ კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარების) მიზნებისთვის და ამ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით ან კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

ზ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

თ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;

ი) მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები;

კ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

ლ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, პროფესიული გაერთიანების, რელიგიური ან არარელიგიური ფილოსოფიური რწმენის ორგანიზაციის მიერ იმავე საქმიანობის მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში აღნიშნულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის მოქმედ ან ყოფილ წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან მისი მიზნებიდან გამომდინარე, იმ პირობით, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე აღნიშნული მონაცემების მესამე პირისთვის გაცემა არ მოხდება;

მ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესებისთვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის, თუ კანონი ითვალისწინებს სათანადო და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას

მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ეს საფუძველი არ გამოიყენება, თუკი სპეციალური კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია ამ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა დამატებითი და განსხვავებული პირობებით;

ნ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირების მიზნით;

ო) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით;

პ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვის მიზნით;

ჟ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის ან გამოქვეყნების მიზნით;

რ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება უწყებათაშორისი კოორდინაციის ინსტიტუციური მექანიზმის ფუნქციონირებისთვის – ბავშვის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან უსაფრთხოებისთვის ან/და ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ან მისი უფლებისთვის მიყენებული ზიანის ან მოსალოდნელი რისკების შემცველი შემთხვევის გამოვლენის ან/და მართვის მიზნებისთვის და ამ მიზნების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოებს (უწყებებს) შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, ბავშვის უფლებათა კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 84-ე მუხლის 21 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. საკრებულო არასრულწლოვან პირთა მონაცემებს ამუშავებს მისი თანხმობის საფუძველზე, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება – მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

4. მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია:

ა) ,, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ " საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლებით;

ბ) თუ ამ მონაცემთა დამუშავება აკრძალული არ არის მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა გარდაცვალებამდე წერილობით აკრძალა მისი გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება);

გ) თუ მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელი;

დ) თუ ეს აუცილებელია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების განსახორციელებლად.

5. გარდაცვლილი პირის სახელის, გვარის, სქესის, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების დამუშავება დასაშვებია, მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა და საფუძვლების არსებობისა.

მუხლი 8. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. კანონი მონაცემთა სუბიექტს ანიჭებს შემდეგ უფლებებს, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) თანხმობის გამოხმობის უფლება - მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობა შეუძლია ნებისმიერ დროს, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. გამოთხოვის უფლების რეალიზაცია მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც დამუშავების საფუძველი არის თანხმობა. თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამასთან, თანხმობის გათხოვის შემთხვევაში, საკრებულო შესაძლოა, მოკლებული იყოს შესაძლებლობას, სრულყოფილად გაუწიოს მომსახურება მონაცემთა სუბიექტს;

ბ) მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციისა და ასლის მიღების უფლება - სუბიექტი უფლებამოსილია იყოს ინფორმირებული, პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების შესახებ. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნისამებრ, საკრებულომ უნდა გასცეს ინფორმაცია დეტალების თაობაზე, თუ რომელი პერსონალური მონაცემები მუშავდება, რა მიზნით და საფუძვლით, როგორ ხდება მათი მოპოვება, რა ვადით ინახება, ვის გადაეცემა სუბიექტის პერსონალური მონაცემები და ა.შ. ასევე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიიღოს საკრებულოსგან მის შესახებ, იმ პერსონალური მონაცემების ასლი, რომელიც მუშავდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება - თუ საკრებულოს მიერ დამუშავებული მონაცემები არასწორი, არასრული ან არაზუსტია, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;

დ) მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება - მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;

ე) მონაცემთა დაბლოკვის უფლება - სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების დაბლოკვა (დამუშავების შეზღუდვა), როდესაც პერსონალური მონაცემების სიზუსტე სადავოა, ან მონაცემთა სუბიექტი ითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იძლევა მონაცემების სიზუსტის გადამოწმებისა და განხილვის შესაძლებლობას; როდესაც დამუშავება უკანონოა, მაგრამ, სუბიექტი უარს აცხადებს პერსონალური მონაცემების წაშლაზე და, სანაცვლოდ, ითხოვს მონაცემების დაბლოკვას; საკრებულოს აღარ ესაჭიროება პერსონალური მონაცემები დამუშავების მიზნებისთვის, მაგრამ მონაცემები სუბიექტს ესაჭიროება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; როდესაც არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა;

ვ) მონაცემთა გადატანის უფლება - სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა. საკრებულო უფლებამოსილია უარი განაცხადოს ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ აღნიშნული ტექნიკურად შეუძლებელია;

ზ) ავტომატიზებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული უფლებები - კანონმდებლობა იძლევა უფლებას მონაცემთა სუბიექტი არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება - ეფუძნება სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას; აუცილებელია ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად; გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

2. გასაჩივრების უფლება - თუ მონაცემთა სუბიექტი თვლის, რომ მისი პერსონალური მონაცემები მუშავდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, უფლება აქვს მიმართოს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. მეტი ინფორმაციისთვის შესაძლებელია ეწვიოს სამსახურის ვებგვერდს https://personaldata.ge/.

მუხლი 9. სამუშაოს მაძიებლის, სტაჟირების მსურველ პირთა მონაცემების დამუშავება

1. საკრებულო უფლებამოსილია დაამუშაოს იმ პირის პერსონალური მონაცემები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ პირის დასაქმების ან/და სტაჟირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების

პროცესში. თუ კონკრეტულ პოზიციაზე განსახილველ სტაჟირების მსურველს უარი ეთქვა დასაქმებაზე, ვერ გაიარა შერჩევის პროცესი ან გამოსაცდელი ვადა დაასრულა წარუმატებლად, აპლიკანტის პერსონალური მონაცემები ექვემდებარება განადგურებას გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს აპლიკანტის თანხმობა მისი მონაცემების შემდგომ დამუშავებაზე (მაგ. მისი კანდიდატურის მომავალში სხვა პოზიციებზე განხილვის მიზნით) ან/და თუ არსებობს მონაცემთა შენახვის სხვა სამართლებრივი საფუძველი.

მუხლი 10. ვიდეო მონიტორინგი

1. საკრებულო, მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, ვიდეო მონიტორინგს ახორციელებს უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით.

2. მონაცემთა დამუშავების შესახებ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების მიზნით, გარდა იმისა, რომ განხორციელებულ იქნა ყველა თანამშრომლის წერილობითი გაფრთხილება, შენობაში მიმდინარე ვიდეომონიტორინგზე, შენობაში არსებულ ვიდეო კამერებთან თვალსაჩინოდ არის განთავსებული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებზეც აღნიშნულია მარტივად აღქმადი გამოსახულება ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და ასევე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდება და საკონტაქტო მონაცემები.

3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში, ვიდეო კამერების მეშვეობით არ ხორციელდება აუდიოჩაწერა.

მუხლი 11. დამუშავებული მონაცემების კატეგორიები

1. საიდენტიფიკაციო მონაცემები:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) პირადი ნომერი;

დ) სქესი;

ე) დაბადების თარიღი;

ვ) ასაკი;

ზ) მოქალაქეობა.

2. საკონტაქტო ინფორმაცია:

ა) მისამართი;

ბ) ტელეფონი;

გ) ელ. ფოსტა.

3. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები:

ა) ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების თაობაზე;

ბ) ინფორმაცია გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ;

გ) ინფორმაცია შშმ სტატუსის შესახებ;

დ) ინფორმაცია იმუნიზაციის თაობაზე;

ე) ეროვნება;

ვ) აღმსარებლობა და რელიგიური კუთვნილება;

ზ) ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ;

თ) პატიმრობასთან და/ან ძებნილობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

4. ინფორმაცია განათლების შესახებ;

5. ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ;

6. ინფორმაცია ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახის წევრების შესახებ;

7. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის, უძრავი ქონების, საცხოვრებელი პირობების შესახებ;

8. სოციალურად დაუცველის სტატუსი;

9. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი;

10. ინფორმაცია ფიზიკური მახასიათებლების თაობაზე (სიმაღლე, წონა და ა.შ);

11. ვიდეოგამოსახულება.

მუხლი 12. მონაცემთა სუბიექტების კატეგორიები

1. საკრებულომ შეიძლება დაამუშაოს შემდეგი კატეგორიის ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემები:

ა) ნებისმიერი პირის, რომელიც წერილობითი განცხადებით მიმართავს საკრებულოს და/ან სარგებლობს ან უსარგებლია საკრებულოს რომელიმე მომსახურებით;

ბ) საკრებულოს ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადის შემტანი პირების, საკრებულოს მოქმედი და ყოფილი თანამშრომლების, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა და სტაჟიორების;

გ) ვიდეოსათვალთვალო კამერის ხედვის არეალში მოხვედრილი პირის;

დ) საკრებულოს ოფიციალური საიტის ვიზიტორის;

ე) საკრებულოს ღონისძიებებში მონაწილე პირების;

ვ) საკრებულოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მონაწილე პირების;

ზ) სოციალურ პროგრამებში ჩართულ პირთა მონაცემები.

მუხლი 13. მონაცემთა მიღების წყარო

1. საკრებულომ სუბიექტის მონაცემები შეიძლება მოიპოვოს:

ა) თავად მონაცემთა სუბიექტისგან, მის მიერ გაზიარებული მონაცემების სახით;

ბ) სოციალური პროგრამების განხორციელების პროცესში - საგანმანათლებლო და/ან აღმზრდელობითი პროგრამების განხორციელებისას;

გ) საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემით;

დ) სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან;

ე) საჯაროდ ხელმისაწვდომი კანონიერი წყაროებისგან;

ვ) ამ პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებით ნებისმიერი სხვა კანონიერი წყაროსგან.

მუხლი 14. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო ინფორმაციას გასცემს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნილია პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ამოწმებს არსებობს თუ არა მონაცემთა დამუშავებისთვის (მოცემულ შემთხვევაში გაცემის, გასაჯაროების) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი მაინც და ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გასცემს პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად.

მუხლი 15. მონაცემთა გადაცემა

1. საკრებულოს მიერ დამუშავებული მონაცემები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და მოცულობით შეიძლება გადაეცეს შემდეგ მესამე პირებს:

ა) სამართალდამცავ ორგანოებს;

ბ) სასამართლოს;

გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანოებს.

2. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა, მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 16. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

1. საკრებულოს თითოეული თანამშრომელი ვალდებულია/პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე.

2. საკრებულოში არსებული პერსონალური მონაცემები ინახება უსაფრთხო და არაკანონიერი წვდომისგან დაცულ სივრცეში. საკრებულო უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი, ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღების გზით.

3. მონაცემებზე წვდომას საკრებულოს თანამშრომლები ახორციელებენ მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მათი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

4. საკრებულოს ის თანამშრომლები, რომელთაც უშუალო წვდომა აქვთ სუბიექტის პერსონალურ მონაცემებთან, ვალდებულნი არიან:

ა) უზრუნველყონ მათ მიერ დამუშავებული მონაცემების უსაფრთხოება;

ბ) დაამუშაონ მხოლოდ ის მონაცემები, რომელიც აუცილებელია მათი ფუნქციების შესასრულებლად;

გ) არ გახადონ მონაცემები ხელმისაწვდომი არაუფლებამოსილი პირებისათვის, მათ შორის მონაცემთა უყურადღებოდ დატოვების და/ან არაუფლებამოსილი პირების თანდასწრებით განხილვის გზით;

დ) აცნობონ მონაცემთა დაცვის ოფიცერს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ან ისეთი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მონაცემთა დაცვას.

17. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1) საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიული და ინდივიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები და უფლებამოსილებები განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

3) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს:

ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, საკრებულოს თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;

გ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, საკრებულოს წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;

ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ვ) საკრებულოში მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია